საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №40
2022 წლის 19 აპრილი

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №20 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №20 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 18/02/2022, 140130000.22.034.017209) დამტკიცებულ წესსა და პირობებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 პუნქტის 38^1 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი ტარდება ამ წესის დანართი №5-ით დამტკიცებული საგამოცდო მარშრუტის (შემდგომ – საგამოცდო მარშრუტი) შესაბამისად, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი. თითოეული საგამოცდო სამსახურისათვის შეიძლება შემუშავდეს რამდენიმე საგამოცდო მარშრუტი.“.

2. მე-8 პუნქტის 24^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე პირი დაიშვება (პირველადი გასვლა) რიგის ჯავშნით განსაზღვრულ დროს, მაგრამ პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან არაუადრეს 15 კალენდარული დღისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაშვების ვადის შეზღუდვა აგრეთვე ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „$ძ^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე.“.

3. 21-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 22-ე პუნქტი:

„22. დანართი №4-ის შემდეგ დაემატოს დანართი №5 თანდართული რედაქციით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 25 აპრილიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი

ვახტანგ გომელაური